



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 739

16/04/2018

ქალაქი ბათუმი

739-05-4-201804161848



### ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა ტრანსპორტით და საწვავით უზრველყოფის შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა უფლება - მოვალეობების შესრულების მიზნით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა ტრანსპორტითა და საწვავით უზრუნველსაყოფად საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად **გბრძანებ:**

1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებები და მათი ექსპლუატაციისათვის საჭირო საწვავის ოდენობა მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებზე განაწილდეს შემდეგნაირად:

ა) ავტომანქანა „ჰუნდაი IX-35“ სახელმწიფო ნომერი LLZ-344 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს ჯუმბერ ვარდმანიძეს, საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლიტრის ოდენობით;

ბ) ავტომანქანა „ჰუნდაი ტუქსონ 2 ჯიპი“ სახელმწიფო ნომერი VZ480ZV ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ზვიად ხალვაშს, საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლიტრის ოდენობით;

გ) ავტომანქანა „მიცუბიში“ L200 სახელმწიფო ნომერი №G-051-NA ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერს ჯუმბერ ვარდმანიძეს, საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 300 (სამასი) ლიტრის ოდენობით;

დ) ავტომანქანა „BMV“ სახელმწიფო ნომერი VZ479ZV ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელს ტარიელ ნაკაშიძეს, საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 100 (ასი) ლიტრის ოდენობით;

ე) ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო იო“ სახელმწიფო ნომერი XRX-457 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელს გიორგი ქურდიძეს, საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 250 (ორასორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით;

ვ) ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო იო“ სახელმწიფო ნომერი JSJ-316 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო განყოფილების უფროსის დროებით

მოვალეობის შემსრულებელს თამაზ მურადიშვილს საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 250 (ორასორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით;

ზ) ავტომანქანა „მიცუბიში პაჯერო იო“ სახელმწიფო ნომერი CPC-852 - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს მირზა ბახტამეს, საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით;

თ) ავტომანქანა „მიცუბისი პაჯერო იო“ სახელმწიფო ნომერი XHX-281 მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი სპეციალისტი, მუნიციპალური მშენებლობის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელს დავით ვარშანიძეს, საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით;

ი) ავტომანქანა - მიკროავტობუსი „ფორდ ტრანზიტი“ სახელმწიფო ნომერი RB-238-RB ხელვაჩაურის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების უფროსს სპეციალისტს - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში მერაბ ბახტამეს, საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით;

კ) ავტომანქანა „ტოიოტა ჰაილუქსი“ სახელმწიფო ნომერი GG484TT ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს (მძღოლი თეიმურაზ თევზაძე) საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლიტრის ოდენობით;

ლ) ავტომანქანა „ფორდესკაპე ჰიბრიდ“ სახელმწიფო ნომერი PRP- 920 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს მალხაზ საღვარიძეს საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 270 (ორასამოცდაათი) ლიტრის ოდენობით;

მ) ავტომანქანა „მიცუბიში აუთლენდერი“ სახელმწიფო ნომერი IJL- 101 ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიას (შოთა ლორთქიფანიძე), საწვავის თვიური ლიმიტი განისაზღვროს 300 (სამასი) ლიტრის ოდენობით.

2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს მერაბ თურმანიძეს სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 100 (ასი) ლიტრის ოდენობით.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელმძღვანელს თენგიზ ქიქავას სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 150 (ასორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით.

4. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს სოფელ ქედქედსა და სინდიეთში - ოთარ მსხალაძეს სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით.

5. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს სოფელ ჩიქუნეთში, ქოქოლეთსა და ქვედა ქოქოლეთში - მიხეილ ქოქოლაძეს სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით.

6. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს სოფელ აჭარისადმართში, სკურდიდსა და ცხემლარაში - გელა მალაყმაძეს და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს სოფელ ქვედა ჩხუტუნეთსა და ზედა ჩხუტუნეთში - მამუკა თურმანიძეს სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 100 (ასი) ლიტრის ოდენობით.

7. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიას (მინდია დიდმანიძე) - სამსახურეობრივი მოვალეობათა

შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით.

8. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და სოციალურ საკითხთა კომისიას (გურანდა დოლიძე) - სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით.

9. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიას (ვახტანგ ლორთქიფანიძე) - სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით.

10. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიას (მინდია დიასამიძე) - სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით.

11. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას (იოსებ ბოლქვაძე) - სამსახურეობრივი მოვალეობათა შესრულებისათვის გამოეყოს საწვავი, რომლის თვიური საერთო ლიმიტი განისაზღვროს 50 (ორმოცდაათი) ლიტრის ოდენობით.

12. დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებას (ანა ბაჟაშვილი) უზრუნველყოს ბრძანებაში დასახელებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესაბამის პირებზე მიკუთვნება სათანადო მიღება-ჩაბარების აქტების წარმოებით.

13. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილებას (ომარ დუმბაძე) და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილებას (კახაბერ ფუტყარაძე) უზრუნველყოს საწვავის ბარათების განაწილება ზემოთხსენებულ პირებზე აღნიშნული ოდენობით.

14. ბრძანება ცნობისათვის გადაეგზავნოს დაინტერესებულ მხარეებს.

15. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულ სამსახურს (მ. ბახტაძე).

16. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა ტრანსპორტით და საწვავით უზრუნველყოფის შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 11 იანვრის №23 ბრძანება.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

18. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა